

როგორ გვესმის კანონის უზენაესობა?

ავტორი: სოფო ვერძეული¹

სამართლებრივი სისტემის გარდაქმნისა და დემოკრატიის მხარდაჭერის მიზნით, მრავალი წელია, საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური, ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსი იხარჯება. საერთაშორისო პროექტების დიდი ნაწილი კანონის უზენაესობის მხარდაჭერას და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას ემსახურება. პოლიტიკოსების მთავარი დაპირებებიც და ყველაზე დიდი პოლიტიკური იმედგაცრუებაც, როგორც წესი, სწორედ კანონის უზენაესობას უკავშირდება. მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, კანონის უზენაესობის კომპლექსური ბუნების შესახებ დისკუსია საქართველოში იშვიათია. ის ერთგვარად უნივერსალურ, ცალსახა და არასადავო კატეგორიას მიეკუთვნება, რაც არაზუსტია. ამ სტატიის მიზანია წარმოადგინოს კანონის უზენაესობის შესახებ დომინანტური ხედვის კრიტიკული მიმოხილვა, განიხილოს ზოგიერთი სირთულე და წინააღმდეგობა, რაც კანონის უზენაესობის რეფორმისტების საქმიანობას ახლავს თან და ამ მსჯელობით ხელი შეუწყოს, სამართლისა და მართლმსაჯულების რეფორმის მიზნების და საუკეთესო გამოსავლების მიღწევას.

1. კანონის უზენაესობა კრიტიკული პერსპექტივით

კანონის უზენაესობის ერთიანი განმარტება ლიტერატურაში არ მოიძებნება.² მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ: ფორმალისტურად, ანუ ვიწროდ და სუბსტანციურად, უფრო ფართოდ.³ ვიწრო განმარტებით, ყველა უნდა დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, რომელიც თავის მხრივ უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.⁴ ფორმალური განმარტება არაფერს ამბობს კანონის შინაარსზე.⁵ კანონის უზენაესობის ვიწრო განმარტებას უკავშირებენ, სამართლის ფილოსოფოსის ლონ ფულერის მიერ, ჩამოყალიბებულ რვა პროცედურულ მოთხოვნას, რომელსაც ის კანონს და კანონშემოქმედების პროცესს უყენებდა, თუმცა არაფერს ამბობდა კანონის სუბსტანციურ

¹ სოფო ვერძეული - მართლმსაჯულების მკვლევარი და „კომენტარის“ რედაქტორი. ის ათ წელზე მეტი მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებში, მათ შორის, იყო მართლმსაჯულებისა და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი სოციალური სამართლიანობის ცენტრში. ის არის სასამართლოზე, სამართლამდამცავ სისტემასა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე გამოქვეყნებული რამდენიმე კვლევის ავტორი. სოფო არის კონსტიტუციური პოლიტიკის, სამართლისა და თეორიის მაგისტრი. მისი კვლევითი ინტერესი უკავშირდება იურიდიფიკაციის საკითხს ინსტიტუციურ რეფორმებში, ასევე სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების კვლევას კრიტიკული სამართლის პერსპექტივით. წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნებულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, 2022 წლის 09 ნოემბერს.

² Mila Versteeg and Tom Ginsburg, *Measuring the Rule of Law: A Comparison of Indicators*, Law & Social Inquiry, 2017, p.6.

³ Brian Tamanaha, *A Concise Guide to the Rule of Law*, Legal Studies Research Paper Series, 2007, p.3.

⁴ Brian Tamanaha (n 2) p.3.

⁵ Brian Tamanaha (n 2) p.17.

საკითხებზე.⁶ ფულერს მიაჩნდა, რომ კანონები უნდა ყოფილი ზოგადი, საჯაროდ ხელმისაწვდომი, მომავალზე ორიენტირებული და არა უკუძალით მოქმედი, საზოგადოებისთვის გასაგები და აღქმადი, არაურთიერთწინააღმდეგობრივი, შესრულებადი და სტაბილური, ასევე კანონის ტექსტები და მათი აღსრულება უნდა ყოფილიყო თანხვედრაში ერთმანეთთან.⁷ ავტორთა ნაწილი ფულერის სიის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს სია არ უთითებს მასში მოხსენებული ღირებულებების იერარქიაზე, ან იმ შემთხვევებზე, როდესაც თავად ეს ღირებულებები კონფლიქტში მოდიან ერთმანეთთან.⁸

კანონის უზენაესობის უფრო კომპლექსური, ანუ სუბსტანციური განმარტება ამ ელემენტებით არ შემოიფარგლება და ის გულისხმობს მსჯელობაში ისეთი ცნებების შემოტანას, როგორიცაა დემოკრატია, სამართლიანობა და სხვა.⁹

კანონის უზენაესობის კონცეპტუალიზაცია რთულია, რადგან ხშირად მისი შინაარსი გათანაბრებულია იმ ქვეყნების „ინსტიტუტებთან და პრაქტიკებთან“, სადაც კანონის უზენაესობა მიღწეულია.¹⁰ როგორც როდრიგესი და სხვები აღნიშნავენ: „კანონის უზენაესობა მომხიბვლელი იდეალია, თუმცა მისი მომხიბვლელობა შეიძლება მისი ბუნდოვანებიდან მომდინარეობდეს, რაც ყველას გვაძლევს საშუალებას იდეალური მმართველობის შესახებ ჩვენი წარმოდგენები ამ ტერმინში გამოვსახოთ.“¹¹

პროფესორი ბრაიან ტამანაჰა საინტერესო მოსაზრებას ავითარებს კანონის უზენაესობის შინაარსის მოდიფიკაციაზე და აღწერს როგორ იცვალა სახე ამ ცნებამ პოლიტიკური ლიბერალიზმის პირობებში. თუკი, მანამდე ის ძირითადად სუვერენის/მმართველის ტირანიის შეზღუდვას გულისხმობდა,¹² ლიბერალიზმის პირობებში მისი მთავარი დანიშნულება ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა გახდა.¹³ ავტორი კანონის უზენაესობის ორ დანიშნულებაზე საუბრობს: პირველი - დაუწესოს სამართლებრივი შეზღუდვები ხელისუფლებას, კერძოდ, მოითხოვოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან არსებული კანონმდებლობის შესაბამისი მოქმედება და განუსაზღვროს გარკვეული ლიმიტები კანონშემოქმედებითი პროცესისთვის.¹⁴ კანონის უზენაესობის მეორე დანიშნულება კი მიემართება საზოგადოებას, „წესრიგის შენარჩუნებას და ქცევის კოორდინაციას“.¹⁵

ხელისუფლებისთვის ნაგულისხმევი შეზღუდვები, ანუ კანონის უზენაესობის პირველი დანიშნულება, თავის მხრივ, პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს გულისხმობს. ერთი მხრივ, ხელისუფლების მოქმედებებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამართლებრივი

⁶ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.8.

⁷ Collen Murphy, Lon Fuller and the moral value of the rule of law, Law and Philosophy, 2005, p.240.

⁸ Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast, The Rule of Law Unplugged, U of Texas Law, Public Law Research Paper, 2009, p.21.

⁹ Brian Tamanaha (n 2) p.3.

¹⁰ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.7.

¹¹ Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast (n 7) p.5.

¹² Brian Tamanaha, The Rule of Law for Everyone?, St. John's Legal Studies Research Paper, 2003, p.21.

¹³ Ibid, p.21.

¹⁴ Brian Tamanaha (n 2) p.3.

¹⁵ ibid, p.6.

„ავტორიზაცია“, ნეგატიური ასპექტი კი ხელისუფლებას უკრძალავს დადგენილი ნორმების საპირისპირო მოქმედებას.¹⁶ ამ მსჯელობაში საყურადღებოა ხელისუფლების მხრიდან, კანონის დაცვის და აღსრულების პროცესში, თვითშეზღუდვით მოქმედების ლოგიკური და პრაქტიკული წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევა, „ძალაუფლების განაწილების ინსტიტუციონალიზებულობას“ მოითხოვს.¹⁷ ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკურ სისტემაში, ძალაუფლება დეპერსონალიზებულია და ამდენად, თვითშეზღუდვით მოქმედების სირთულეც დიდწილად გაქარწყლებულია.

საყურადღებოა, კანონის უზენაესობის მოთხოვნით, კანონშემოქმედებითი ძალაუფლებისთვის დადგენილი შეზღუდვებიც, რომელიც ხელისუფლებას ბოჭავს გარკვეული ცვლილებების მიღებაში. ამგვარი შებოჭვა შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეულ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელიც კონსტიტუციით აღიარებულ წესებში, ბუნებითი სამართლის პრინციპებში, ადამიანის უფლებების დამდგენ საერთაშორისო ნორმებსა ან რელიგიურ ნორმებში ვლინდება.¹⁸ შესაბამისად, ძალაუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფს, საკუთარი პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად, წინაღობას შეიძლება უქმნიდეს ისეთი საფუძვლები, რომელთა აღმოფხვრის ან შეცვლის ინსტიტუციური შესაძლებლობა მას არ გააჩნია. სწორედ ამ კონტექსტში სვამს კითხვას პროფესორი ტამანაჰა, თუ ვის უნდა ჰქონდეს ასეთი საკითხის ინტერპრეტაციის უფლებამოსილება.¹⁹ როგორც წესი, სასამართლოები სარგებლობენ ისეთი ინტერპრეტაციების შესაძლებლობით, რასაც პოლიტიკური შედეგები მოჰყვება. ავტორის აზრით ეს იწვევს მართლმსაჯულების ექსპანსიას პოლიტიკაზე (Judicialization).²⁰ ამ ტენდენციასთან ერთად, ავტორი ასევე სიფრთხილით უყურებს, ზოგადად, სამართლის შეჭრას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტში (Juridification).²¹

ბუნებრივია, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, განჭვრეტადობას, სამართლებრივ უსაფრთხოებას და ამ ინსტიტუტის სხვა კომპონენტებს, შეუძლია დადებითად იმოქმედოს როგორც ჰორიზონტალურ (მოქალაქეებს შორის), ისე ვერტიკალურ ურთიერთობებზე (მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის).²² თუმცა, საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში კანონის უზენაესობა, მოქალაქეებისგან კანონის ძირეული ცოდნას და წინდახედულებას მოითხოვს, რაც ბუნებრივია ყოველთვის სახეზე არ არის.²³ კიდევ ერთი საკითხი, რაც კრიტიკული პერსპექტივით კანონის უზენაესობის ფართოდგავრცელებული ხედვის კრიტიკას უკავშირდება დისკრეციაა. უფრო ზუსტად კი, დისკრეციის ფარგლების შეზღუდვით კანონის ერთგვაროვანი აღსრულების უზრუნველყოფა. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები იცვლება, არსებული კანონის უპირობო/ცალმხრივმა შესრულებამ შეიძლება „დამაზიანებელი, უსამართლო ან სოციალურად არასასურველი

¹⁶ Ibid, p.3.

¹⁷ Ibid, p.4.

¹⁸ ibid.

¹⁹ Ibid, p.6.

²⁰ ibid.

²¹ Ibid, 18.

²² Ibid, p.8.

²³ ibid.

შედეგები“ გამოიწვიოს.²⁴ ასევე, კანონის მიყოლა/აღსრულება იმ ტრადიციით, რომელიც მუდმივად „აწარმოებს გამარჯვებულებს და დამარცხებულებს“, არ ეხმარება კონფლიქტის აღმოფხვრას და სოციალურ თანხმობის მიღწევას.²⁵ როგორც ტამანაჰა აღნიშნავს, კანონის ერთგვაროვანი აღსრულების შესახებ დათქმას ყოველთვის პოზიტიური შინაარსი არ აქვს, განსაკუთრებით კი „არსებითი სოციალური უთანასწორობის“ გარემოში.²⁶ ავტორს მაგალითად მოჰყავს სკვერში სკამზე ძილის აკრძალვა, რომელიც ერთნაირად შეეხება მდიდრებს და ღარიბებს.²⁷ თუმცა, ნათელია, რომ ამ შეზღუდვას სოციალური განზომილება ძირითადად მხოლოდ ღარიბების შემთხვევაში აქვს.²⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, კანონის უზენაესობის ცნებასთან დაკავშირებული „ნეიტრალურობის“ (და არა „მიუკერძოებლობის“) პრინციპი, რომელიც არაერთ სამართლებრივ სისტემაში სასამართლო განხილვის აუცილებელ პირობად მიიჩნევა. ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ კანონებს და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რამდენად „ნეიტრალურადაც“ არ უნდა იყოს ისინი მიღებული, აქვთ კონკრეტული, ხელშესახები, უფლებრივი გავლენა ადამიანებზე.²⁹ ამდენად, ფორმაში/პროცესში ნეიტრალური, ცხადია, არ გულისხმობს შედეგში ნეიტრალურს და ამის გათვალისწინება სამართლის სისტემის ფორმირებისას აუცილებელია.

კანონის უზენაესობის საკითხებზე მუშაობისას, საყურადღებოა ზოგადად სამართლის მიმართება საზოგადოებრივ და კულტურულ ნორმებთან, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საზოგადოება ეთნიკურად, კულტურულად, რელიგიურად მრავალფეროვანია და ბევრ ჯგუფს მოიცავს, კანონი კი „მხოლოდ ერთს წარმოადგენს.“³⁰ ასეთ დროს, განსაკუთრებით კი პოსტ-კოლონიურ საზოგადოებებში, კანონს შეიძლება უცხოვს, საეჭვოს შეგრძნება ახლდეს თან, რაც სოციალური წესრიგის მიღწევას ართულებს.³¹ ამასთან, თუკი კანონი ასოცირდება ერთ კონკრეტულ ჯგუფთან, ან თუკი ზოგადი უნდობლობა სახელმწიფო ან იურიდიული პროფესიის მიმართ, ასევე თუკი მრავალფეროვან საზოგადოებაში, სამართლის შექმნის/აღსრულების ბერკეტები მხოლოდ ერთი სოციალური ჯგუფის ხელშია, სხვები კი განდევნილნი არიან, კანონის უზენაესობის პრინციპის კულტურულ ღირებულებად აღიარება რთულდება.³² ანალოგიურად, თუკი მაღალია მიუღებლობა ზოგადად იურიდიული პროფესიის, ან თუკი ეს პროფესია და შესაბამისი თანამდებობები მხოლოდ ზოგიერთი კლასის წარმომადგენლისთვის არის ხელმისაწვდომი, ეს შეიძლება კანონების შინაარსშიც იჩენდეს თავს.³³ ამგვარი მიკერძოებაც ცხადია, შეამცირებს მიმღებლობას კანონის უზენაესობის ან სამართლებრივი რეფორმების მიმართ.

²⁴ *ibid*, p.9.

²⁵ *Ibid*.

²⁶ *Ibid*, p.12.

²⁷ *ibid*, p.13.

²⁸ *ibid*.

²⁹ Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast (n 7) p.51.

³⁰ Brian Tamanaha (n 2) p.11.

³¹ *Ibid*.

³² *Ibid*, pp.13-14.

³³ *Ibid*, p.16.

ამ თავში განხილული მაგალითები, რომელიც როგორც წესი, კანონის უზენაესობის შესახებ დომინანტურ დისკუსიებში არ ისმის, ადასტურებს კანონის უზენაესობის რთულ და კომპლექსურ შინაარსს. კანონის უზენაესობის ფორმალური გაგება, თავისთავად და ყოველთვის, არ გულისხმობს სამართლიანი, თანასწორი და დემოკრატიული სამართლებრივი სისტემის არსებობას. კანონის უზენაესობა კონკრეტულ კონტექსტში იძენს ფორმას და შინაარსს და ამდენად, სამართლებრივ გარემოსთან ერთად, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ ფაქტორებთან, კულტურულ, ისტორიულ, პოლიტიკურ განზომილებებთან. ამ კავშირების უგულვებელყოფამ ძლიერი წინააღმდეგობა შეიძლება შეუქმნას სამართლის სისტემის რეფორმის ღირებულ იდეებს, მათ შორის, კანონის უზენაესობის რეფორმისტების მუშაობას.

2. კანონის უზენაესობა როგორც ინდუსტრია

ზოგიერთი ავტორის აზრით, „კანონის უზენაესობა მზარდი მულტინაციონალური ინდუსტრიაა.“³⁴ ზოგიერთი კი მას „მანტრას“,³⁵ ან ყველაზე გავრცელებულ „სლოგანს“ უწოდებს.³⁶ ეს მიუთითებს სამართლებრივი გლობალიზაციის პირობებში, კანონის უზენაესობის დომინანტურ და ერთგვარად „უდავო“ ბუნებაზე.

კანონის უზენაესობის და მასთან ერთად, გლობალური სამართლებრივი რეფორმებისა და საერთაშორისო პროექტების ისტორია დიდწილად 1990-იანი წლებიდან დაიწყო. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, განვითარების პარადიგმის ქვეშ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა სწორედ კანონის უზენაესობის პროექტებით დაიწყეს მუშაობა. მანამდე, მაგალითად, ამერიკის აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში მიიჩნეოდა, რომ დევლოპმენტალიზმში წამყვანი როლი ეკონომიკასა და პოლიტიკის მეცნიერებებს ეკავა.³⁷ თუმცა, ეკონომისტებმა დაიწყეს ფიქრი სამართლებრივი ინსტიტუტების „პოტენციურ ეკონომიკურ ფუნქციაზე“,³⁸ პოლიტიკის მეცნიერებმა კი - პოლიტიკური მოწყობის საკითხებში კანონისა და სასამართლოს როლზე.³⁹ სწორედ ამ ხედვებმა ჩამოაყალიბა ერთგვარი კონსენსუსი სამართლებრივი სისტემისა და განვითარების ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ, რამაც დასაბამი მისცა დიდი ფინანსური რესურსების ხარჯვას განვითარებად ქვეყნებში კანონის უზენაესობის საკითხებზე.⁴⁰ ამასთან, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან გრანტების მიღების წინაპირობაც გახდა.⁴¹ ამან პროექტების სამიზნე

³⁴ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.2.; Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast (n 7) p.2.

³⁵ Julio Rios-Figueroa and Jeffrey K. Staton, Unpacking the Rule of Law: a review of judicial independence measures, CELS 2009 4th Annual Conference on Empirical Legal Studies Paper, 2009, p.2.

³⁶ Brian Tamanaha (n 11) p.7.

³⁷ Kevin E. Davis, What Can the Rule of Law Variable Tell Us About Rule of Law Reforms?, Michigan Journal of International Law, 2004, p. 142.

³⁸ Ibid.

³⁹ Ibid.

⁴⁰ Ibid, p. 143.

⁴¹ Brian Tamanaha (n 11) p.3.

ქვეყნებს მისცა სტიმული, ემუშავათ „უნივერსალურად“ აღიარებული კანონის უზენაესობის რეფორმებზე.

კანონის უზენაესობის რეფორმის ფართომასშტაბიანი პროექტები რამდენიმე ძირითად დაშვებას ეყრდნობა. არსებობს მოსაზრება, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კანონის უზენაესობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, განჭვრეტადობისა და უსაფრთხოების შეგრძნების გამო.⁴² თუმცა, საკამათოა, მართლაც აქვს თუ არა დამოუკიდებელი მნიშვნელობა სამართლის სისტემებსა და ინსტიტუტებს ეკონომიკის განვითარებისთვის. ზოგიერთი ავტორი უარყოფს ამგვარი პირდაპირი და უშუალო კავშირის არსებობას და ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, პირიქით, თავად ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს სამართლის პოლიტიკას ქვეყნებში.⁴³ ზოგიერთ ავტორს კი ამ დისკუსიაში შემოაქვს კიდევ უფრო საყურადღებო ასპექტი არა ეკონომიკის ზრდაზე, არამედ ასეთი ზრდის არსებობის შემთხვევაშიც კი, შემოსავლის გადანაწილების პრობლემაზე, რაც კანონის უზენაესობისთვის უმნიშვნელო საკითხია.⁴⁴

კანონის უზენაესობის რეფორმისტები თავის საქმიანობას ასევე აფუძნებენ წარმოდგენას კანონის უზენაესობის უნივერსალურობაზე და აღიარებას, რომ ის საერთოა ყველა პოლიტიკური და კულტურული გარემოსთვის.⁴⁵ მეორე დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ კანონის უზენაესობა სახელმწიფოებისგან მოითხოვს კონკრეტულ ინსტიტუციურ და მმართველობით შესაბამისობებს.⁴⁶ მესამე - კანონის უზენაესობა გაიგივებულია დემოკრატიათა და ამდენად, ავტორიტარიზმის ალტერნატივასთან.⁴⁷ მეოთხე - მიჩნეულია, რომ შესაძლებელია კანონის უზენაესობის გაზომვა.⁴⁸ ეს უკანასკნელი დაშვება კი მიუთითებს იმ წარმოდგენაზე, რომ გავრცელებული აზრით კანონის უზენაესობა ცალმხრივი, ერთგვაროვანი ცნება და არა კომპლექსური, მრავალწახნაგიანი ფენომენია.⁴⁹ სწორედ ასეთი ნაგულისხმევი „ერთგვაროვნება“ აქცევს კანონის უზენაესობას გაზომვად ფენომენად.

კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის რამდენიმე სისტემური ელემენტის არსებობა მიიჩნევა აუცილებლად, ესენია: კონსტიტუციური მოწყობა და დადგენილი ძალაუფლების ფარგლები, კანონმდებლობის რევიზიის ფუნქცია/საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, ძალაუფლების დანაწილება, დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა.⁵⁰ ავტორთა ნაწილი კანონის უზენაესობის ფართო ცნებაში სამ ძირითად მიმართულებას მოიაზრებს: ინსტიტუციურს, ინდივიდუალურს და სოციალურ განზომილებას.⁵¹ სწორედ ინსტიტუციური განზომილების კომპონენტია სასამართლოს დამოუკიდებლობა.⁵² კანონის

⁴² Brian Tamanaha (n 2) p.11.

⁴³ Kevin E. Davis (n 36) p. 143.

⁴⁴ David M. Trubek, The „Rule of Law“ in Development Assistance: Past, Present and Future, 2003, p.16. (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NFk88a>).

⁴⁵ Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast (n 7) p.11.

⁴⁶ ibid, p.12.

⁴⁷ Ibid.

⁴⁸ Ibid.

⁴⁹ ibid.

⁵⁰ Ibid, pp. 24-30.

⁵¹ Julio Rios-Figueroa and Jeffrey K. Staton (n 34) p.4.

⁵² ibid.

უზენაესობის მიღწევაში განსაკუთრებული როლი სწორედ ინსტიტუციონალიზებულ, დამოუკიდებელ სასამართლოს აქვს.⁵³ მოსამართლეები ინდივიდუალურად და კოლექტიურად მოწადინებულნი უნდა იყვნენ კანონი გამოიყენონ მიკერძოების ან ზეგავლენის გარეშე.⁵⁴

რამდენადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია, საერთაშორისო და ადგილობრივი რეფორმისტების ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ სასამართლოს ინსტიტუციური გარდაქმნის საკითხები იწვევს. ეს უკავშირდება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სამართლისა და სასამართლოს ნდობა ზრდის განჭვრეტადობას, რაც ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელია.⁵⁵ ეს დომინანტური ხედვა ნაცნობია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის, მათ შორის, პოსტ-საბჭოთა სივრცისთვისაც, სადაც „სამართლებრივი და მართლმსაჯულების რეფორმები [...], ჯერ კიდევ ეკონომიკური სექტორის ლიბერალიზაციის თანმდევ/დამხმარე საშუალებადაა აღქმული.“⁵⁶

ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ტრანზიციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, სამართლისა და სასამართლოს რეფორმები ინტენსიური „საერთაშორისო წნეხის“ პირობებში ხორციელდებოდა.⁵⁷ ამას უკავშირდება სამართლის რეფორმებზე მუშაობა ადგილობრივი გამოცდილებების, პოლიტიკური კონტექსტისა და სოციალური გარემოსგან იზოლირებულად, რასაც ხშირად თან ახლავს საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეული ინსტიტუტების კონკრეტული ქვეყნების სამართლის სისტემებში ინტეგრირების მცდელობა. თუმცა, ამგვარი უნივერსალური გამოსავლების სტრატეგია (One-size-fits-all) ხარვეზიანია და თავად საუკეთესო პრაქტიკაც კი „ილუზორული“ შეიძლება გახდეს, თუკი ადგილობრივი კონტექსტი უგულებელყოფილია.⁵⁸

ამის მაგალითია „სასამართლო რეფორმის სტანდარტული პაკეტი“,⁵⁹ რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში საერთაშორისო განვითარების პროექტების მიერ, როგორც უნივერსალური გამოსავლები, ისე გავრცელდა. უნდა ითქვას, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ფართოდ გავრცელებული მიდგომები ხშირად თავად მართლმსაჯულების საზოგადოების მიერ განვითარებულ სტანდარტებს ეფუძნება.⁶⁰ გარდა იმისა, რომ ამ სტანდარტების ნაწილი სასამართლო კორპორატივიზმისკენ იხრება, ისინი მცდარად აკეთებენ აქცენტს მოსამართლეების მიმართ გარე გავლენების არსებობაზეც და სათანადო ყურადღების გარეშე ტოვებენ სისტემის შიგნიდან მომდინარე გავლენისა და ზეწოლის საკითხებს,⁶¹ ისევე როგორც ჭარბი ავტონომიის საკითხს, რამაც

⁵³ Brian Tamanaha (n 2) p.14.

⁵⁴ ibid.

⁵⁵ Boaventura de Sousa Santos, *The Gatt of Law and Democracy: (Mis)Trusting the Global Reform of Courts*, 1999, p.56.

⁵⁶ „ვინ და რა არგუმენტებით ითხოვს სასამართლოს რეფორმას?“, 2021 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3E9G8VF>).

⁵⁷ Boaventura de Sousa Santos (n 54) p.57.

⁵⁸ Tom Ginsburg, *Pitfalls of Measuring the Rule of Law*, *Hague Journal on the Rule of Law*, 2011, p.272.

⁵⁹ Nuno Garoupa and Tom Ginsburg, „Judicial Councils and Judicial Independence“, 2009, p.109.

⁶⁰ David Kosar and Samuel Spac, *Conceptualization(s) of Judicial Independence and Judicial Accountability by the European Network of Councils for the Judiciary: Two Steps Forward, One Step Back*, *International Journal for Court Administration*, 2018, p.38.

⁶¹ Ibid, p.39.

სასამართლო თავად შეიძლება პოლიტიკურ მოთამაშედ აქციოს („Juristocracy“).⁶² მიუხედავად ამისა, სტანდარტიზებული სარეფორმო პაკეტი ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენება გლობალური სამართლებრივი რეფორმის პროექტებში.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ კანონის უზენაესობის და სამართლებრივი რეფორმების მჭიდრო კავშირზე ზოგად სამართლებრივ და ინსტიტუციურ სისტემასთან და პოლიტიკურ გარემოსთან.⁶³ ამის საპირისპიროდ, ხშირად რეფორმისტების რესურსები იხარჯება კანონის უზენაესობის განვითარებაზე იმ პირობებში, როდესაც პოლიტიკური თუ სამართლის სისტემები უცვლელი, ან წინააღმდეგობრივი რჩება ამგვარი სიახლეების მიმართ. ამიტომაც, კანონის უზენაესობის დანერგვის მცდელობებს არაერთი გაუთვალისწინებელი შედეგი ახლავს.⁶⁴ ასეთმა შედეგებმა კი არამხოლოდ სამართლებრივი სისტემების მიმართ, თავად დემოკრატიის მიმართაც კი შეიძლება გამოიწვიოს სკეპტიციზმი.⁶⁵ ეს საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც კანონის უზენაესობის და სამართლებრივი რეფორმების საკითხი განიხილება კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი გარემოსგან იზოლირებულად.⁶⁶ არცერთი მმართველობითი და ძალაუფლებრივი სისტემა არ მუშაობს ცალმხრივად და სწორხაზოვნად. როგორც წინა თავში იყო განხილული, კანონის უზენაესობაც, როგორც უფრო დიდი პროცესის შემადგენელი ნაწილი, არაერთი გარემოების გავლენას განიცდის და ამ გარემოებებთან ურთიერთქმედებაში ყალიბდება. ამდენად, ნებისმიერი „სტანდარტული“ სამართლებრივი მექანიზმის ერთი პოლიტიკური კონტექსტიდან მეორეში გადატანა, ახალი გარემოს სათანადო გაზომვისა და შეფასების გარეშე, არამხოლოდ ფუჭი, არამედ კონტრპროდუქტიულიც შეიძლება გამოდგეს.

3. როგორ იზომება კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობის „ინდუსტრიის“ გაფართოებამ, გაზარდა ინტერესი კანონის უზენაესობის გაზომვის მეთოდებისა და ინდიკატორების მიმართ.⁶⁷ დღეს არაერთი ორგანიზაცია ზომავს კანონის უზენაესობის მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა, როგორც წესი, საერთაშორისო ინდექსები ძირითადად ამ ცნების სხვადასხვა ასპექტს ზომავენ.⁶⁸ განსხვავებულია მონაცემების მოპოვების და დამუშავების მეთოდებიც, რამდენადაც ზოგიერთი ეყრდნობა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ექსპერტთა შეფასებებს, ზოგიერთი თავს უყრის მოქალაქეების, ექსპერტებისა და სხვა წყაროებში არსებულ მონაცემებს.⁶⁹ მმართველობის სფეროში მომზადებული ზოგიერთი ანალიზი, შეიძლება ეფუძნებოდეს საერთაშორისო ინვესტორების შეხედულებებს ქვეყანაში

⁶² Tom Ginsburg (n 57) p.273.

⁶³ Mathew D. McCubbins, Daniel B. Rodriguez, Barry R. Weingast (n 7) p.23.

⁶⁴ *ibid.*, p.45.

⁶⁵ *ibid.*

⁶⁶ *ibid.*

⁶⁷ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.2.

⁶⁸ *Ibid.*, p.4.

⁶⁹ *ibid.*

არსებული გარემოს შესახებ.⁷⁰ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით პრობლემურად მიიჩნევა, რადგანაც უცხოელ ინვესტორებს შეიძლება სრულფასოვანი წარმოდგენა არ ჰქონდეთ ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, მათი ხედვები შეიძლება სუბიექტური მოტივებითაც იყოს განპირობებული. მაგალითად, მათ შეიძლება ბიზნესისათვის ხელსაყრელად არ ჩათვალოს და უარყოფითად შეაფასონ ქვეყანაში არსებული გარემოს დაცვისა და შრომის მარეგულირებელი კანონმდებლობა.⁷¹ ამ და სხვა მიზეზების გამო, ტომ გინსბურგი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად სანდო მონაცემებს ბიზნესების კვლევა შეიძლება არ შეიცავდეს.⁷²

კანონის უზენაესობის გაზომვა ხშირად დაკავშირებულია ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მდგომარეობასთან.⁷³ საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს როგორც თავად „განვითარების“ შინაარსს და მასთან კავშირში, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გამოთვლის პრინციპს, ასევე კრიტიკულად უყურებენ იმ კრიტერიუმებს, რომლის გამოყენებითაც ორგანიზაციები ამზადებენ შეფასებებს.⁷⁴ მაგალითად, გაკრიტიკებულია ზოგიერთ ქვეყანაში კანონისა და წესრიგის მდგომარეობის კვლევისას, მხოლოდ დანაშაულთა მაჩვენებლების მოხმობა, რომელიც თავის მხრივ მხოლოდ სამართლებრივად საყურადღებო ფენომენს არ წარმოადგენს და საკმარისი არ არის ქვეყნის სამართლებრივი სისტემის დასახასიათებლად;⁷⁵ ასევე, გაკრიტიკებულია კანონის აღსრულების მდგომარეობის შეფასებისას იმ უკანონო გაფიცვების მოხმობა, რომელიც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის დარღვევას მიემართებოდა.⁷⁶

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი შეფასება აქცენტს აკეთებს შესაფასებელი ქვეყნის სამართლის სისტემის წარმოშობაზე.⁷⁷ ეს უკავშირდება ავტორთა ნაწილს შორის გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონტინენტური და საერთო სამართლის სისტემები განსხვავებულად ზემოქმედებენ წარმადობაზე და საერთო სამართლისთვის დამახასიათებელი სტრუქტურები, კონტინენტურთან შედარებით, უპირატესია.⁷⁸ საინტერესოა შეფასების ამ სისტემაზე ტომ გინსბურგის პასუხი, რომელიც მიუთითებს, რომ საკვლევი ქვეყნების მდგომარეობაში არსებულ განსხვავებებს განაპირობებს არა თავისთავად სამართლის სისტემის წარმოშობა, არამედ ამ ქვეყნებთან მიმართებით სხვადასხვა კოლონიური პოლიტიკა.⁷⁹

ავტორთა აზრით, რომლებმაც იკვლიეს რამდენიმე ფართოდ გავრცელებული ინდექსის ურთიერთმიმართება, არსებული მეთოდოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, ისინი ძირითადად მსგავს ფენომენებს ასახავს.⁸⁰ ავტორები თვლიან, რომ ინდექსებს შორის

⁷⁰ Tom Ginsburg (n 57) p.275.

⁷¹ ibid.

⁷² ibid.

⁷³ Kevin E. Davis (n 36) p. 148.

⁷⁴ ibid, p. 146.

⁷⁵ ibid, p. 150.

⁷⁶ ibid p. 151.

⁷⁷ Tom Ginsburg (n 57) p.276.

⁷⁸ Ibid.

⁷⁹ ibid, p.277.

⁸⁰ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.5.

მეთოდოლოგიური განსხვავებების პირობებში, შედეგებში ერთგვაროვნება შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ კანონის უზენაესობის ინდექსები განზოგადებულად ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობას გადმოსცემენ.⁸¹

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ძველი შეფასების სისტემა მსოფლიო ბანკის ინდექსია, რომელმაც 1990-იან წლებში კანონის უზენაესობის შეფასება თავისი ძირითადი დანიშნულების (კაპიტალის, ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის) შესრულების მიზნით დაიწყო.⁸² ეს გადაწყვეტილება ეხმიანებოდა იმ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც კანონის უზენაესობის პირობებში წახალისებული და ხელშეწყობილია საინვესტიციო გარემო და ეკონომიკური საქმიანობა. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები ექვს მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა კანონის უზენაესობა.⁸³ მსოფლიო ბანკი კანონის უზენაესობის ცნებაში მოიცავს კონტრაქტების აღსრულების საკითს, საკუთრების უფლებას, პოლიციასა და სასამართლოს, ასევე ძალადობისა და დანაშაულის აღბათობას.⁸⁴

საინტერესოა ასევე, კონსერვატიული ამერიკული ორგანიზაციის Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც ორგანიზაციის ღირებულებების გათვალისწინებით, ყურადღებას ამახვილებს კერძო საკუთრებასა და კორუფციაზე.⁸⁵ 2022 წლის ინდექსით შეფასებულია 184 ქვეყანა ეკონომიკური თავისუფლების შემადგენელი 4 სვეტის მიხედვით:⁸⁶

- კანონის უზენაესობა, რაშიც ორგანიზაცია მოიაზრებს: საკუთრების უფლებას, მთავრობის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს ეფექტიანობას;
- მთავრობის ზომა, უფრო კონკრეტულად სამთავრობო დანახარჯები და საგადასახადო წნეხი;
- ბიზნესის, შრომისა და მონეტარული პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩო;
- ბაზრის ღიაობა, საინვესტიციო, ფინანსური და სავაჭრო თავისუფლება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეთოდოლოგია კანონის უზენაესობის ცალკე განმარტებას არ იცნობს და ის პირდაპირ ამ სვეტის შემადგენელი სამი ქვე-საკითხის წარმოდგენით იწყება.⁸⁷ ამ ქვე-საკითხებიდან ერთ-ერთის - სასამართლოს ეფექტიანობის შესახებ - მეთოდოლოგია უთითებს, რომ ის ფასდება სამი კატეგორიით, ესენია: სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლო პროცესის ხარისხი და საჯარო სერვისების ხარისხის შესახებ არსებული წარმოდგენები.⁸⁸ რაც შეეხება წყაროებს, სასამართლოს ეფექტიანობის შესაფასებლად, ინდექსი ეყრდნობა მსოფლიო ბანკისა და Freedom House-ის მონაცემებს.⁸⁹ 2022 წლის ინდექსით, სინგაპური დასახელდა ყველაზე თავისუფალი

⁸¹ Ibid, p.6.

⁸² ibid, p.12.

⁸³ Worldwide Governance Indicators (ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3zLXdIR>).

⁸⁴ Ibid.

⁸⁵ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.13.

⁸⁶ About the Index, 2022 Index of Economic Freedom, Heritage Foundation, (ხელმისაწვდომია: <https://heritag.org/2EZxRWV>).

⁸⁷ Methodology, Heritage Foundation, p.455 (ხელმისაწვდომია: <https://heritag.org/3hiwt66>).

⁸⁸ Ibid, p.456.

⁸⁹ Ibid.

ეკონომიკის მქონე ქვეყნად. 4-ვე სვეტსა და ამ სვეტების ყველა ქვე-კატეგორიას შორის, სინგაპურს ყველაზე დაბალი შეფასება სასამართლოს ეფექტიანობის ნაწილში აქვს (58.3) და ის მხოლოდ 2 ერთეულით უსწრებს საქართველოს (56.4) სასამართლოს ეფექტიანობის ინდექსში.⁹⁰

რაც შეეხება, კიდევ ერთ ამერიკულ ორგანიზაციას Freedom House-ს, მისი მისიიდან გამომდინარე, კანონის უზენაესობის შინაარსი დიდწილად ადამიანის უფლებების საფუძველზეა ინტერპრეტირებული.⁹¹ უფრო კონკრეტულად, ორგანიზაცია სწავლობს პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების მდგომარეობას სხვადასხვა ქვეყანაში.⁹² ეს ფოკუსი უკავშირდება ორგანიზაციის განაცხადს, რომლის მიხედვითაც „ადამიანების თავისუფლების მიღწევის საუკეთესო ფორმა ლიბერალური დემოკრატიის საზოგადოებაა.“⁹³ მიუხედავად იმისა, რომ Freedom House-ის რეიტინგი დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მექანიზმია, რეალურად ამ ორგანიზაციის საბაზისო კონცეფცია უკავშირდება თავისუფლებას და არა დემოკრატიას.⁹⁴

კანონის უზენაესობის სვეტის ქვეშ, ორგანიზაცია მოიაზრებს ისეთ საკითხებს როგორიცაა:⁹⁵

- სასამართლოს დამოუკიდებლობა (სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობა, მოსამართლეთა დანიშვნა, გადაწყვეტილებათა აღსრულება)
- სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფა (სასამართლო ხელმისაწვდომობა, იურიდიული დახმარება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვა)
- ფიზიკური ძალადობისგან დაცვა (საპოლიციო დაკავებების პრაქტიკა, პატიმრობის პირობები, ძალადობრივი დანაშაულები)
- სხვადასხვა ჯგუფების მიმართ თანასწორი მოპყრობა (მოწყვლადი ჯგუფები და დისკრიმინაცია)

რაც შეეხება, Freedom House-ის მიერ გამოყენებულ წყაროებს, ორგანიზაციის ანალიტიკოსები რეიტინგების მომზადებისას იყენებენ საინფორმაციო სიახლეებს, აკადემიურ მასალებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებს, პროფესიულ კონტაქტებსა და ადგილზე ჩატარებულ კვლევას.⁹⁶ ორგანიზაციის 2022 წლის შეფასების მიხედვით, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების სიაშია (58 ქულით) და ყველაზე დაბალი შეფასებები, რამდენიმე სხვა კომპონენტთან ერთად, სწორედ კანონის უზენაესობის კატეგორიაში აქვს.⁹⁷

⁹⁰Explore the Data, 2022 Index of Economic Freedom, Heritage Foundation (ხელმისაწვდომია: <https://heritag/2xswTD>).

⁹¹ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.14.

⁹² Introduction, Freedom House (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FSQ4UK>).

⁹³ Ibid.

⁹⁴ John Höglström, Does the Choice of Democracy Measure Matter? Comparisons between the Two Leading Democracy Indices, Freedom House and Polity IV. Government and Opposition, 2013, p.204.

⁹⁵ Freedom in the World Research Methodology, Freedom House (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t4s219>).

⁹⁶ Introduction, Freedom House (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NFCfuH>).

⁹⁷ Georgia, Freedom in the World, Freedom House (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3UfwK8v>).

მეოთხე, ფართომასშტაბიანი და შედარებით ახალი ინიციატივა არის World Justice Project-ის კანონის უზენაესობის ინდექსი, რომელიც ყველა სხვა ინდექსთან შედარებით, კანონის უზენაესობის განსაკუთრებით ფართო შინაარსს იყენებს.⁹⁸ კორუფციის დამარცხებასთან ერთად, ორგანიზაცია კანონის უზენაესობის სამიზნედ ასევე მოიაზრებს ზოგად უსამართლობებს, სიღარებს, დაავადებებს და სხვა.⁹⁹ WJP საკუთარი შეფასების მომზადებისას იყენებს როგორც საზოგადოების ფართო ჯგუფების, ისე ელიტების კვლევას, რაც გინსბურგის აზრით, იყო პასუხი იმ გამოწვევაზე, რომ მხოლოდ ბიზნესების შეხედულებების კვლევა შესაძლოა მიკერძოებული ან არასრულფასოვანი ყოფილიყო.¹⁰⁰ როგორც თავად ორგანიზაცია აღნიშნავს, ეს არის ერთადერთი ინდექსი, რომელიც, კვალიფიციური რესპონდენტების პასუხებთან ერთად, ეყრდნობა რიგითი მოქალაქეების გამოცდილებებსა და აღქმებს.¹⁰¹ კანონის უზენაესობის ინდექსი ზომავს რვა ფაქტორს: მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვას, კორუფციას, ღია მმართველობას, ძირითად უფლებებს, წესრიგს და უსაფრთხოებას, რეგულაციების აღსრულებას, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას.¹⁰²

ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია კიდევ ერთხელ მიუთითებს ინდექსების გამოყენებისას აუცილებელ სიფრთხილეზე. მაგალითად, კანონის უზენაესობის შესახებ სხვადასხვა ინდექსის გამოყენებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება თუ: ვინ ამზადებს შეფასებას და რა მიზანს ემსახურება ეს შეფასება; რეალურად რას ზომავს შეფასება (მაგალითად, დემოკრატია თუ თავისუფლებას); როგორ შეგროვდა ინფორმაცია და ხომ არ იყო მიკერძოების ან ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე; როგორ განმარტავს შემფასებელი ორგანიზაცია კანონის უზენაესობას ან სასამართლოს ეფექტიანობას. როგორც აქ წარმოდგენილი მსჯელობაც აჩვენებს, ინდექსში მოწინავე პოზიციებზე ყოფნა, თავისთავად არ გულისხმობს, ქვეყანაში ინსტიტუციონალიზებული დემოკრატიის პრინციპებით ან კანონის უზენაესობის საუკეთესო შინაარსით ხელმძღვანელობას. ზოგიერთი ინდექსისთვის, დემოკრატია, კანონის უზენაესობას და სასამართლოს დამოუკიდებლობას მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობა აქვს და სხვა მიზნის მიღწევის საშუალებად არის აღქმული.

4. შეჯამება

ამ სტატიამ მიმოიხილა კანონის უზენაესობასთან დაკავშირებული სამი მნიშვნელოვანი საკითხი: კანონის უზენაესობის ცნება და შინაარსი კრიტიკული პერსპექტივიდან, კანონის უზენაესობის რეფორმისტების საქმიანობა და სამართლებრივი რეფორმის გლობალური პროექტები, კანონის უზენაესობის გაზომვის მეთოდები და ფართოდ გავრცელებული ინდექსების თავისებურებები.

⁹⁸ Mila Versteeg and Tom Ginsburg (n 1) p.17.

⁹⁹ World Justice Project, Rule of Law Index 2021, p.13 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TsvGgp>).

¹⁰⁰ Tom Ginsburg (n 57) p.275.

¹⁰¹ World Justice Project, Rule of Law Index 2021, p.9 (ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Tca3k4>).

¹⁰² Ibid.

სტატიაში განხილული საკითხები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კანონის უზენაესობა საკმაოდ კომპლექსური ფენომენია. მცდარი დომინანტური წარმოდგენების საწინააღმდეგოდ, კანონის უზენაესობას არაერთი წინააღმდეგობრივი და რთული მსჯელობა უკავშირდებოდა. მისი ერთგვაროვნებისა და უნივერსალურობის შესახებ გავრცელებული მოსაზრებების საპასუხოდ, სტატიაში განხილულია, რამდენად მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობაზე მუშაობის კონტექსტუალიზება, სოციალური, კულტურული თუ ისტორიული ფაქტორების გათვალისწინება. ეს განსაკუთრებით მიემართება კანონის უზენაესობის რეფორმისტების საქმიანობას, რომლებიც ხშირად ადგილობრივი კონტექსტის უგულებელყოფით და სტანდარტიზებული სარეფორმო პაკეტებით ცდილობენ რთული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების გარდაქმნას. რაც შეეხება, კანონის უზენაესობის საზომს, სტატიაში განხილული მონაცემები მიუთითებს, რომ ფართოდ გავრცელებულ ინდექსებს არაერთი თავისებურება აქვთ, რომელთა გათვალისწინებაც ინდექსების მოხმობისას აუცილებელია. პირველ რიგში კი მნიშვნელოვანია დაზუსტება, რას გულისხმობს კონკრეტული ინდექსი კანონის უზენაესობაში და რეალურად რას ზომავს შემფასებელი ორგანიზაცია.